ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE
NEWUNI

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია

დამტკიცებულია: რექტორის ბრძანებით N 10-ა
თარიღი: 16.12.2017 წელი
ცვლილების თარიღი: 17.05.2021 წელი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - „ნიუუნი“

შინაარსი:

შესავალი **2**

1. დოკუმენტის მიზანი და შინაარსი **2**

2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, გეოგრაფიული არეალი და ასპექტები **3**

3. საგანმანათლებლო, კვლევითი და ექსტრაკურიკულური საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია **4**

3.1 მოკლევადიანი მიზნები 2021-2023 წ.წ. **5**

3.2 გრძელვადიანი მიზნები 2021-2026 წ.წ. **6**

4.1 მოკლევადიანი მიზნები 2021-2023 წ.წ. **7**

4.2 გრძელვადიანი მიზნები 2021-2026 წ.წ. **8**

შესავალი

ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის საქმიანობის უპირობო პრიორიტეტია, შესაბამისად, იგი ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. ამ მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს კვლევისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებას, სასწავლებლის ცნობადობის ამაღლებას, საერთაშორისო აღიარებასა და ნდობის განმტკიცებას, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას და წარმოჩენას, საერთაშორისო რესურსებისა და გამოცდილების გაზიარებას, სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობას, უცხოელი პროფესორ-მასწავლებლებისა და ექსპერტების მოზიდვის პროცესს, შესაბამისად მიახლოებას ევროპულ სტანდარტებთან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სასწავლებლის/ნიუუნის შიდა ორგანიზაციული მართვის გაძლიერება ინტერნაციონალიზაციის შეუხრელი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. ახალი პარტნიორობის დამყარებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ურთიერთობების შენარჩუნება არსებულ, მუდმივ პარტნიორებთან და ამ ურთიერთობების გაფართოება. ზემოარნიშნული სტარატეგიული მიმართულების ფარგლებში მნიშვნელოვანია სასწავლებლის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციის - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და ამ კუთხით პასუხისმგებლობის სათანადოდ შესრულების უზრუნველყოფა.

1. დოკუმენტის მიზანი და შინაარსი

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია ნიუუნის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ, სასწავლებლის საზოგადოების/დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია, რომელიც ეფუძნება ნიუუნის ხედვას, მისიას და სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განუყოფელი ნაწილია, თავისი შინაარსით განსაზღვრავს სამომავლო გეგმებსა და აქტივობებს კონკრეტულად სწავლა-სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი თუ ადმინისტრირების, ექსტრაკურიკულური აქტივობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია განსაზღვრავს სასწავლებლის მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებს და წარმოადგენს სამომავლო საქმიანობის გზამკვლევს, ის განსაზღვრავს სასწავლებლის პრიორიტეტებსა და ძირითად სტრატეგიებს ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებით. დოკუმენტი გაზიარებულია სასწავლებლის ფართო საზოგადოების მიერ და ერთიანი მიდგომების დანერგვას უწყობს ხელს.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით გათვალისწინებული აქტივობები მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს, შესაბამისად, ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად პერმანენტულად ხორციელდება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში - ცვლილებები.

მონიტორინგის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, აგროვებს შესრულების ინდიკატორების შესაბამის ინფორმაციას, რაოდენობრივ თუ ხარისხობრივ მონაცემებს, მოამზადებს ანგარიშს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
მონიტორინგის მიზანია, განსაზღვრული/დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობის ამაღლება და ნიუუნისი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა.
ვინაიდან ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შეფასება მხოლოდ რაოდენობრივ მონაცემებზე დაფუძნებით არ იქნება სრულფასოვანი, შესაბამისად, თითოეულ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია შინაარსობრივი, ხარისხობრივი შეფასება. აქედან გამომდინარე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის ზოგიერთ/გარკვეულ შემთხვევაში განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, შესრულების ინდიკატორები. მიზნისკენ სავალ გზაზე, აღსრულების კვალდაკვალ, პროგრესის გათვალისწინებით, შესაძლებელია დამატებითი სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა.

ინტერნაციონალიზაციის შედეგები გამოიყენება ნიუუნის საქმიანობის ყველა სფეროში. ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს თვით უსდ-ს, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კონკურენტუნარიანობას, მათ პროფესიულ წარმატებას, აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას.

2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, გეოგრაფიული არეალი და ასპექტები

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის პრიორიტეტია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების, ერთობლივი პროექტების განხორციელების, პროფესიული კომპეტენციების განვითარების მიზნით და, ასევე რეგიონთაშორისი თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.
უაღრესად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში სარგებლობენ მაღალი ნდობით და ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებსა და აქტივობებს ნიუუნისთვის პრიორიტეტულ, მსგავს სფეროებში.
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნი მიზნად ისახავს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამებში აქტიურ ჩართვას და კვალიფიკაციის ამაღლებას. შესაბამისად, პარტნიორი უსდ-ის/ორგანიზაციის მოძიებისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შესაძლო ორმხრივი თანამშრომლობის რელევანტურ სფეროებს და გაცვლითი პროგრამების განხოორციელების შესაძლებლობებს. ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის საერთაშორისო ასპარეზზე ცნობადობის გაზრდის მიზნით, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში მაღალი კონკურენციის გათვალისწინებით, აქცენტი კეთდება იმ უსდ-სა თუ ორგანიზაციაზე, რომლებიც რეალურ დროში არიან საქართველოში პარტნიორების ძიების პროცესში.

ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა რეგიონული მიდგომის გათვალისწინება უცხოელი პარტნიორების შერჩევისას. ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის მიერ გადადგმული ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით არის სწორედაც რომ გათვლილი რეგიონული მიდგომის გათვალისწინების შესატყვისად. სასწავლებელს ორმხრივი - ინსტიტუციური და ერასმუს+ ხელშეკრულებები აქვს დადებული პარტნიორ ორგანიზაციებთან ცენტრალურ ევროპაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში და შავიზღვისპირეთის ქვეყნებში არსებულ უნივერსიტეტებთან.
პარტნიორული ხელშეკრულებების დადებისას გათვალისწინებულია ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნისა და პარტნიორი უნივერსიტეტების სპეციფიკა, სასწავლო პროგრამები და ორმხრივი თანამშრომლობისათვის გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები: სასწავლო-სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები, ერთობლივი პროექტები, ერთობლივი საუნივერსიტეტო პროგრამები, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები.

სასწავლებლის მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია **სამი ძირითადი ქვემიზანი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით**:

- **ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი მექანიზმების განვითარება;**
- **სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;**
- **საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება.**

წინამდებარე ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასა და სტრატეგიაში მიზნები დაჯგუფებულია გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებად ორი ძირითადი მიმართულებით:

- **საგანმანათლებლო, კვლევითი და ექსტრაკურიკულური საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;**
- **ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაცია.**

3. საგანმანათლებლო, კვლევითი და ექსტრაკურიკულური საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია

საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, ამ კუთხით განვითარება, ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნისათვის წარმოადგენს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პიროვნული პოტენციალის სრულად რეალიზების ხელისშემწყობ საქმიანობას და მეორეს მხრივ,

ინსტრუმენტს, რომელიც მოახდენს თავად უსდ-ს ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში მიმდინარე პროცესებში. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნის მისაღწევად ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი განავითარებს ინტერნაციონალიზაციის დონეს ორი - (სწავლა-სწავლება და კვლევა) მიმართულებებით, რაც, ერთი მხრივ, განუყოფელი მიზანია, მეორე მხრივ, კი მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს და განსახორციელებელ ამოცანებს.

3.1 მოკლევადიანი მიზნები 2021-2023 წ.წ.

№	მიზანი	შესრულების ინდიკატორ(ებ)ი
1	უცხო ენის კომპეტენციის განვითარება პერსონალში	შეთავაზებული გადამზადების კურსები და მათი გამოყენების მაჩვენებელი
2	უცხოენოვანი სასწავლო კურსების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამებში	ინგლისურენოვანი კურსების რაოდენობა კურიკულუმში
3	პარტნიორი უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილების გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესის ორგანიზებაში	დანერგილი მიდგომები სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებასა და დაგეგმვაში (მაგ. სასწავლო კურსის დაგეგმვა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები და სხვ.) განხორციელებული ღონისძიებები და მათში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებელი
4	აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა სწავლების თანამედროვე მეთოდების სართაშორისო/თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით	გადამზადებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა
5	აკადემიური მობილობის მაჩვენებლის გაზრდა	მობილობის მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა
6	საერთაშორისო კავშირების თანმიმდევრული განახლება-გაფართოება-გაღრმავება პრიორიტეტული უნივერსიტეტების შერჩევითა და პროგრამების საჭიროებების გათვალისწინებით	საერთაშორისო კავშირების, ხელშეკრულებების რაოდენობა და მათი გავრცელების სფერო კავშირების გამოყენების მაჩვენებელი
7	საერთაშორისო ღონისძიებების/პროექტების დაგეგმვა და განხორციელება (პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კონფერენციები, სტუდენტთა ბანაკები, საზაფხულო/ზამთრის	განხორციელებული აქტივობები და მათში მონაწილეთა რაოდენობა

	სკოლები) საერთაშორისო საგანმანათლებლო/საუნივერსიტეტო სივრცეში ცნობადობის და ნდობის ამაღლების მიზნით	სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი ღონისძიებებით

3.2 გრძელვადიანი მიზნები 2021-2026 წ.წ.

№	მიზანი	შესრულების ინდიკატორ(ებ)ი
1	არსებულ და ახალ პარტნიორებთან საგანმანათლებლო თანამშრომლობის ასპექტების მეტი აქტუალიზაცია	პარტნიორობით გათვალისწინებული თანამშრომლობის სრულად გამოყენება
2	უცხოეთის აკადემიურ-სამეცნიერო ასოციაციებში, ფონდებში გაწევრიანების ხელშეწყობა	გაწევრიანების მაჩვენებელი
3	აქტივობების ზრდა საერთაშორისო პროექტებში, პროგრამებში ჩართვისათვის; ამ მიზნით აქტიური თანამშრომლობა მსხვილ დონორ ორგანიზაციებთან - Erasmus+; Horizon Europe, Jean Monet, USAID; British Council; DAAD და ა.შ., რომლებიც ახორციელებენ პროექტებს უსდ-ებისათვის	უცხოური დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებელი
4	განათლების საერთაშორისო გამოფენებში, სტუდენტთა ფესტივალებში, ფორუმებში და სხვ. მონაწილეობის ხელშეწყობა	საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებელი
5	საერთაშორისო, მ.შ. ერაზმუს+-ის სტუდენტებისათვის 15 - 30 კრედიტის ფარგლებში სასწავლო კურსების პაკეტ(ებ)ის მომზადება მოქმედი (ტურიზმის, ბიზნესის ადინისტრირების, საერთაშორისო ურთიერთობების) საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმებზე დაყრდნობით	ნათარგმნი/შემუშავებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები
6	ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავების მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება	ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული მიმართულება/მიმართულებები ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელებისთვის
7	უცხოენოვანი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ეტაპობრივად მომზადებასა და განხორციელებაზე ზრუნვა	მოძიებული პარტნიორ(ებ)ი პროგრამის მომზადების პროგრესი

8	უცხოელი სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა ახალი უმაღლესი სასწავლებელი -ნიუუნის სწავლა-სწავლების პროცესში/საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში	სწავლა-სწაავლების პროცესში ჩართული უცხოელი სპეციალისტების რაოდენობა
9	საერთაშორისო ინდექსირებულ, რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშეწყობა	გამოქვეყნების რაოდენობა
10	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება/თანა-ორგანიზება;	განხორციელებული აქტივობები
11	უცხოური უსდ-ებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებში ნიუუნის აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა;	მონაწილეთა (აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების) რაოდენობა

4. ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაცია

საგანმანათლებლო, კვლევითი და ექსტრაკურიკულური საქმიანობის ინტერნაციონალიზაციასთან ერთად, თანაზომიერად მნიშვნელოვანია საქმიანობის გაძლიერება სასწავლებლის მართვის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

4.1 მოკლევადიანი მიზნები 2021-2023 წ.წ.

№	• მიზანი	შესრულების ინდიკატორი
1	ინსტიტუციური პარტნიორობის ქსელის განვითარება ორგანიზაციული და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის კონტექსტში	პარტნიორობის რაოდენობა, რომელიც ისახავს მიზნად თანამშრომლობას ორგანიზაციული და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის განვითარებას პარტნიორობის შედეგები - განხორციელებული აქტივობები, ტრენინგები, ცვლილებები, სახელმძღვანელო დოკუმენტები, სხვ.
2	მართვის კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ანალიზი და დანერგვა	საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის დოკუმენტი და შესაბამისი რეკომენდაციები დანერგილი კარგი პრაქტიკის მაგალითები

3	ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა სასწავლო პროცესის, პერსონალის, სამეცნიერო საქმიანობის, სტუდენტური სერვისების მართვის და სხვა საკითხებში როგორც უცხოელი სპეციალისტების/ორგანიზაციების ჩართულობით, ისე საზღვარგარეთ	ჩატარებული ტრენინგები, ვორკშოპები და მათი ეფექტურობა (აქტიბობათა და მათში მონაწილეთა რაოდენობა, კმაყოფილება და სხვ,) გაუმჯობესებული სერვისები - სტუდენტების და პერსონალის გაზრდილი კმაყოფილება
4	უცხოეთის უნივერსიტეტებთან მიზნობრივი კავშირების დამყარება ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების მიზნით	არსებული ხელშეკრულებები/შესაძლებლობები ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლისთვის უცხოეთში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მივლინებული პერსონალის რაოდენობა

4.2 გრძელვადიანი მიზნები 2021-2026 წ.წ.

№	მიზანი	შესრულების ინდიკატორი
1	საერთაშორისო კავშირების გაზრდა ადმინისტრაციული პერსონალის, სასწავლებლის მართვის და ადმინისტრირების განვითარების მიზნით	საერთაშორისო პარტნიორული ქსელის ზრდა
2	ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების შექმნა	ერაზმუს+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის შესაძლებლობები
3	ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობა	მობილობაში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა
4	უწყვეტი განათლების შესაძლებლობების შექმნა სასწავლებლის საზოგადოებისათვის, რომელიც მოიცავს სტუდენტებს, პერსონალს, კურსდამთავრებულებს, პარტნიორებს	უწყვეტი განათლების შესაძლებლობები სასწავლებლის საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის / შეთავაზებების გამოყენების მაჩვენებელი

5	საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელებში გაწევრიანება, რაც მიზნად ისახავს დაწესებულებების განვითარებას ორგანიზაციული მართვის, ადმინისტრირების მიმართულებით	წევრობის შესაძლებლობების გამოყენების მაჩვენებელი